ნაშრომის სათაური: ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში

სტუდენტის სახელი, გვარი: ტატო ჯანაშია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი: ქეთევან ირემაშვილი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

ავტორი: ტატო ჯანაშია _____

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

,,ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **ტატო ჯანაშიას** მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიაში მისი განხილვის თაობაზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”

თარიღი _____

ხელმძღვანელი : ქეთევან ირემაშვილი, ასოცირებული პროფესორი

_____

რეცენზენტი:

_____

ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი:

ნათია ვაჭარაძე

_____

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი..... 4

2. მედიაციის არსისა და თანამედროვე დავების გადაწყვეტისას ადვოკატის როლის განსაზღვრა 6

2.1 ადვოკატის მონაწილეობის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები..... 12

3. ადვოკატის ეთიკის საკანონმდებლო მოწესრიგება ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობით 15

3.1 ადვოკატის ეთიკის საკანონმდებლო მოწესრიგების საერთაშორისო გამოცდილება 17

4. ეთიკური ვალდებულებების გავრცელება ადვოკატზე, როგორც წარმომადგენელზე 20

4.1 ადვოკატზე ეთიკური ვალდებულებების გავრცელების ქართული მოდელი 21

4.2 ადვოკატზე ეთიკური ვალდებულებების გავრცელების ამერიკული მოდელი 25

4.3 ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის და 'მოდელური წესების' თანახმად 26

4.3.1 ქართული მოდელი 26

4.3.2 ამერიკული მოდელი 31

დასკვნა 37

გამოყენებული ლიტერატურა 40

შესავალი

მედიაცია კონფიდენციალური, კერძო პროცესია, რომელშიც ნეიტრალური მესამე პირი, მოდავე მხარეებს კონსტრუქციული დიალოგისკენ უძღვება. მედიატორი მხარეებს თავიანთი შეხედულებისა და პოზიციის დაფიქსირებაში ეხმარება, სიღრმისეულად უსმენს მათ, განმარტავს სადავო საკითხებს და ახორციელებს ინტერესებზე მორგებულ მოლაპარაკებას.

მედიაცია, როგორც პროცესი, საშუალებას აძლევს დავაში ჩართულ მხარეებს, განიხილონ თავიანთი პოზიციები, ინტერესები და დავის გადაჭრის ვარიანტები. დავის პროცესი ემყარება კომუნიკაციას ურთიერთგაგების მისაღწევად, რაც ორივე მხარისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების წინაპირობაა. ეს არის უმნიშვნელოვანესი ცვლილება ტრადიციულ, შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებულ სისტემაში. წესები და დირექტივები, რაც დამახასიათებელია დაპირისპირებული, მესამე პირის გადაწყვეტილების შედეგზე დამყარებული სისტემისთვის, გამოუსადეგარია ინტერესებზე დაფუძნებული და პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტაზე ორიენტირებული პროცესის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ადვოკატები ინფორმირებული არიან დავის ალტერნატიულად გადაწყვეტის პროცედურაზე, პრაქტიკაში, ისინი მაინც აგრძელებენ კარგად აპრობირებულ ქცევებს, რომლებიც ხელს არ უწყობს პროცესის მომრიგებლურად წარმართვას. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ადვოკატებს უჭირთ, სურვილის მიუხედავად, მოლაპარაკებების დროს ერთობლივად მოაგვარონ პრობლემები.

სამაგისტრო კვლევის მიზანია შეისწავლოს მედიაციის პროცესში ადვოკატის როლი, მონაწილეობის ეფექტურობის ზღვარი და გავლენა დავის გადაწყვეტის შედეგზე. განსაკუთრებით მაშინ, როცა თანამედროვე საზოგადოებაში, მრავალი იურისტი თუ ადვოკატი, ტრადიციული საადვოკატო პრაქტიკისა და სხვა დამკვიდრებული სამართლებრივი მომსახურების პარალელურად, მედიაციას, როგორც სამართლებრივ სერვისს, სთავაზობს მომხმარებლებს. ყველა პრაქტიკოსი

იურისტი თუ ადვოკატი, მიუხედავად მედიაციის პროცესში მათი როლისა, როგორც მედიატორი ან ადვოკატი, ექვემდებარება ეთიკის ნორმებს, რომელიც საქართველოში განსაზღვრული და დადგენილია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და მედიაციის შესახებ საქართველოს კანონით, რომლებიც ერთობლიობაში, ადგენენ პროფესიული ეთიკის ნორმების ქცევის წესებს და განსაზღვრავენ ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს კლიენტის საუკეთესო ინტერესის დაცვაზე.

სამაგისტრო ნაშრომი გარდა კვლევითი და აღწერილობითი კომპონენტისა, მოიცავს მიზანს, რომელიც მიიღწევა კვლევის ანალიტიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით.

შესავალი ნაწილის შემდგომ, ნაშრომის მეორე თავი დაეთმობა მედიაციის არსის, მისი მზარდი მნიშვნელობის განსაზღვრას თანამედროვე დავების გადაწყვეტის პროცესში და ადვოკატის, როგორც წარმომადგენლის, დადებითი და უარყოფითი ფაქტორების აღწერას; მესამე თავი დაეთმობა ადვოკატის ეთიკის საკანონმდებლო მოწესრიგებას ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლებრივ ცხოვრებაში; მეოთხე თავი კი დაეთმობა ადვოკატზე, როგორც წარმომადგენელზე ეთიკური ვალდებულებების გავრცელებას და ამ საკითხთან დაკავშირებულ ზოგად ეთიკურ წინაღობებზე მსჯელობას. დასკვნის სახით კი შეჯამებულ იქნება ანალიზის შედეგად მიღებული რეკომენდაციები.

2. მედიაციის არსისა და თანამედროვე დავების გადაწყვეტისას ადვოკატის როლის განსაზღვრა

მედიაცია, დავის გადაწყვეტის დამკვიდრებული სამართლებრივი პრაქტიკისა და ინსიტიტუციებისგან განსხვავებით, კომუნიკაციასა და ურთიერთობებზე დაფუძნებულ პროცესს გვთავაზობს, რომელსაც უძღვება მედიატორი - ადამიანი, რომელიც მოტივირებულია სამართლიანობის პრინციპის დაცვით დაეხმაროს მხარეებს წარმატებით დაასრულონ მოლაპარაკება და უთანხმოება გადაჭრან ურთიერთსასარგებლო შეთანხმებით, რომელიც მხარეთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო, ოპტიმალური და ეფექტური მეთოდია. დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ადამიანთა შორის აზრთა სხვადასხვაობის გადაჭრა, მოლაპარაკების გზით არის შესაძლებელი.[1] სწორედ ამიტომ, მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის დანიშნულებაა, აღადგინოს ადამიანებს შორის სტატუს ქვო და შეუწყოს ხელი არსებული სოციალური ურთიერთობების შენარჩუნებას, რომლის მიღწევის საუკუნეების განმავლობაში აპრობირებული გზა, სწორედ, მოლაპარაკებაა. მიჩნეულია, რომ მიუხედავად დროთა განმავლობაში დამკვიდრებული მედიაციის როგორც პროცესის სხვადასხვა განმარტების, სტრუქტურისა თუ ტიპებისა, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მეცნიერები შეჯერდნენ მედიაციის განმარტების ძირეულ კონსესუსზე. ამჟამად, უმეტესობა მკვლერებისა თანხმდება, რომ მედიაციას სამი ძირეული კომპონენტი ახასიათებს: (1) დახმარება ან სხვაგვარი ფორმით ინტერაქცია (2) ნეიტრალური მესამე პირისგან, რომელსაც (3) არ გააჩნია ლეგიტიმაცია მხარეებს განუსაზღვროს საბოლოო შედეგი.[2] მიუხედავად იმისა, რომ მედიატორი არ და ვერ იქნება დავის გადამწყვეტი ფიგურანტი პროცესში, ზოგჯერ, მედიატორები მხარეებს მკაცრად განსაზღვრულ დღის წესრიგსა და ქცევის წესებს უსაზღვრავენ, რაც დავის მონაწილეებს უქმნის ერთგვარ პერსეფციას, იმის შესახებ, რომ მოლაპარაკების მიმდინარეობა და მსვლელობა

[1] Fisher R., William U., Getng to YES, Negotiating Agreement Without Giving In, 2nd ed., Harvard Negotiation Project, Penguin Books, New-York, 1991, Introduction, 7

[2] James A. Wall, Jr., John B. Stark and Rhetta L. StandiferThe Journal of Conflict Resolution Vol. 45, No. 3 (Jun. 2001), pp. 375

არაპირდაპირი გზით სწორედ პროცესის დირიჟორის, მედიატორის ხელთაა.[3] ბოლო წლების განმავლობაში თანდათან უფრო იზრდება როგორც სასამართლო, ასევე კერძო მედიაციის აქტუალობა. მხარეები აქტიურად ცდილობენ წარმოშობილი კონფლიქტი მედიაციის დახმარებით გადაწყვიტონ და მხოლოდ წარუმატებელი მოლაპარაკების რაუნდის შემდგომ მიმართონ სასამართლო ინსტანციებს.[4] მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა სრული უმრავლოსობა თანხმდება, რომ აღნიშნული ტრენდის თანმდევი უპირატესობები უალტერნატივოა, რაც მკვეთრად ამარტივებს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობის რეგულირებას. მიჩნეულია, რომ მედიაციის პოპულარიზაცია ზრდის დავების განხილვის სისწრაფეს, ამცირებს სასამართლო განხილვის ხარჯებს და განსახილველ საქმეთა რაოდენობას სასამართლოში, რომელთა კონვენციონალური მეთოდით განხილვა დიდ დროსთანაა დაკავშირებული და მთავრდება, შედეგით, რომელიც ხშირშემთხვევაში წამგებიანი ერთ-ერთი მხარისთვის.

ამასთან, საგულისხმოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დავის გადაწყვეტა მედიაციის პროცესით ლეგიტიმურია, მაშინ, როცა მხარეთა მიერ ადგილი არ აქვს მატერიალური სარგებლის მოტივით მიმდინარე და მართულ პროცესს და მხარეთა საუკეთესო ინტერესების დაკმაყოფილებაა ამოსავალი წერტილი. ამ შედეგის მიღწევა დამოკიდებულია პროცესში სწორედ ადვოკატთა მონაწილეობაზე. შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრის პერსეფცია მეტწილად დამოკიდებულია ადვოკატის ქცევაზე, თუ როგორ წარუძღვება იგი პროცესს, რაც საბოლოო ჯამში, მედიაციაზე, როგორც ხელმისაწვდომ სერვისზე მოთხოვნის გაზრდას გამოიწვევს. პირადი მოსაზრებით, უპირობოდ მნიშვნელოვანია, საქართველოში მედიაციის, როგორც სამართლებრივი სერვისის განვითარების საწყის ეტაპზე, მაქსიმალურად დადებითად წარიმართოს ინსტიტუციის

[3] James A. Wall, Jr., John B. Stark and Rhetta L. StandiferThe Journal of Conflict Resolution Vol. 45, No. 3 (Jun., 2001), pp. 370-376

[4] Lodge J.A. Legislation Protecting Confidentiality in Mediation: Armor of Steel or Eggshell. Santa Clara Law Review, Vol. 41 2000-2001, 1106.

განვითარება და საწყისეულ, ნაგულისხმებ დავის გადაჭრის ალტერნატივად დამკვიდრდეს საზოგადოებაში.

მიჩნეულია, რომ მედიაცია, თანამედროვება სამართლებრივ მოწყობაში დამკვიდრებული ფორმით, სამეზობლო და თანაცხოვრების სფეროში არსებული მცირე კონფლიქტების აღმოსაფხვრელად წარმოიშვა. რაც საკუთარ თავში, გულისხმობს სასამართლო ბიუროკრატიისგან თავის არიდებას, რომელიც მიმართული იყო დავის თანამშრომლობითა და მოლაპარაკების გზით გადაჭრისკენ.[5] დროთა განმავლობაში, მედიაციის საწყისი ფორმის განვითარებამ, მის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის აუცილებლობა წარმოშვა.[6] სამართლებრივ მეცნიერებაში ამ პროცესის დეფინიციისთვის, აუცილებელია კონფლქტის ფსიქო-ანალიზი. გავრცელებული მოსაზრებით, კონფლიქტის უნივერსალური განმარტება არ არსებობს, თუმცა არსებობს კონსესუსი, რომ ის გამოხატავს ორი ან მეტი მხარის დაპირისპირებას სხვადასხვა: სოციალური, მატერიალური ან/და ფსიქოლოგიური ფაქტორების გამო. კონფლიქტური სიტუაციის აღმოსაფხვრელად კი საჭიროა დაპირისპირებული ინტერესებისა და პოზიციების შეჯერება და მათი შესაბამისობის გამოკვეთა.[7] სწორედ ამგვარი პოზიციების შეჯერების დროს ენიჭება განსაკუთრებული მნიშნველობა, ადვოკატის, როგორც კონფლიქტის რეზოლუციის ფასილიტატორის ქცევას, რაც ერთმნიშნველოვნად განსაზღვრავს დავის საბოლოო შედეგს.

[5] Astor H., Chinkin C., Dispute ResoluΘon in Australia, BuΣerworths, 2nd ed, 2002, 14.
[6] Harman J., From AlternaΘve to Primary Dispute ResoluΘon: The pivotal ro le of Mediation in (and in avoiding) litigation, Speech delivered at National Mediation Conference, Melbourne, Australia, 2014, 7.
[7] Fisher R., William U., Geƫng to YES, Negotiating Agreement Without Giving In, 2nd ed., Harvard NegoΘaΘon Project, Penguin Books, New-York, 1991, 10.

მედიაციის პროცესის წამყვან ფიგურანტებს მისი მხარეები და მედიატორი წარმოადგენენ. ამ პროცესში დიდი როლი აკისრიათ ადვოკატებსაც, თუმცა დამკვიდრებულია აზრი, რომ მიუხედავად მათი მნიშნველობისა, პროცესში მათი როლი მეორე ხარისხოვანია.[8] მედიაცია და პროცესის წამყვანი, მედიატორი, მკვეთრად გამოხატული იურიდიული მიმართულება არ გახლავთ. მედიატორის როლის მორგება წარმატებით შეუძლიათ როგორც იურისტებს, ასევე ფსიქოლოგებს და სხვა მრავალი სფეროს წარმომადგენელს.

სამართლებრივ ექსპერტთა ნაწილის აზრით, ადვოკატების მედიაციის პროცესში მონაწილეობა სასარგებლოცაა, რადგან ისინი უკეთ ეხმარებიან პროცესის მხარეებს, სამართლებრივ ცოდნზე დაყრდნობით, უკეთ წარმოაჩინონ საკუთარი პოზიციები და ინტერესები ნათლად ჩამოაყალიბონ.[9] გარდა ამისა, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მედიატორისთვის მეტად სასარგებლოცაა, პროცესის მსვლელობას ადვოკატებიც ესწრებოდნენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სწორედ მედიატორს მოუწევს დავასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მისეული სამართლებრივი შეფასების გაკეთება.[10]

უშუალოდ ადვოკატის როლი არაერთგვაროვანი შესაძლებელია იყოს და კლიენტს რამდენიმე მიმართულებით გაუწიოს დახმარება. გამოვიდეს როგორც მისი მრჩეველი, მომლაპარაკებელი და პრობლემური საკითხის გადამწყვეტი.

ადვოკატი, როდესაც მედიაციის პროცესში მრჩევლად გვევლინება, ის კლიენტს საქმის გარემოებების გათვალისწინებით სამართლებრივ კონსულტაციას უწევს.[11] როდესაც ადვოკატი გვევლინება, როგორც მომლაპარაკებელი, იგი კლიენტის სახელით ერთვება მოლაპარაკების პროცესში და სხვადასხვა უნარ-ჩვევების გამოყენებით მას სასურველი შედეგის დადგომაში ეხმარება. პრობლემის გადამწყვეტი ადვოკატის ყოფნას ექსტენსიური მნიშნელობა ენიჭება და ფართო

[8] Esplugues C., Marquis L., New Developments in Civil and commercial Mediation, Global Comparative Perspectives, Montreal-Valencia, 2015, 43.
[9] ცერცვაძე გ., მედიაცია, თბილისი, 2010, გვ.232
[10] იქვე 232
[11] Corbin L., Baron P., Gutman J., UNSW Law Journal, ADR Zealots, Adjudicative Romantics and Everything Between:Lawyers in Mediations, Berlin, 2015, 499.

პროფილით უწევს თავის კლიენტს დახმარებას და პროცესში აქტიური ჩართულობით ზრდის მისი წარმატებით დასრულების შანს.[12]

გარდა ამისა, ერთ-ერთი მიზეზი თუ რატომაც შეიძლება ადვოკატის დასწრება ბენეფიტების შემცველი იყოს უშუალოდ მედიაციის პროცესისა და მხარისთვის, არის კლიენტსა და ადვოკატს შორის ინფორმაციის გაცვლის ეფექტურება. მიჩნეულია, რომ ადვოკატი კლიენტისგან სწორად ინფორმაციის ეფექტურად გაცვლას ითხოვს, რაც საბოლოო ჯამში მას დასაბუთებული რეკომენდაციისა და რჩევის გაცემაში ეხმარება.[13] ადვოკატი კი, რომელიც თავიდანვეა პროცესში ჩართული, სწორედ შეძლებს დავის სამართლებრივ შეფასებას, რაც მედიაციის პროცესის დადებითან გადაწყვეტას შეუწყობს ხელს. ფაქტობრივი თუ სხვა გვარი გარემოებების გარეშე კი ადვოკატისთვის წარმოუდგენელია იყოს კლიენტისთვის გამოსადექი პარტნიორი და მისი მრჩეველი. [14]

ადვოკატები უკვე ფლობენ სპეციფიკურ უნარებს, რომელიც ძალიან გამოსადეგია მედიაციის პროცესში. თავიანთი კარიერის განმავლობაში მათ არაერთი პრაქტიკული ტრენინგი აქვთ გავლილი იმის შესახებ თუ როგორ გააკეთონ დავებისა და დიდი მოცულობის ინფორმაციის ანალიზი. აქვთ უნარ-ჩვევა ამოიცნონ პრობლემური საკითხები, რათა წარმატებით შეასრულონ თავაინთი როლი მედიაციაში.

ის, თუ რა როლს თამაშობს ადვოკატი მედიაციაში, არსებითად დამოკიდებულია კლიენტის ინტერესსა და სურვილზე. უაღრესად მნიშნველოვანია, ადვოკატებმა კლიენტებისგან მედიაციის დაწყებამდე მიიღონ მაქსიმალურად მოცულობითი ინფორმაცია საქმის გარემოებების შესახებ, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს პროცესში კლიენტის პირდაპირი ჩართულობა და სწორი მიმართულებით გაჟღერდეს მასში ინტერესები.

[12] იქვე
[13] იქვე
[14] იქვე

კლიენტის დაცვა წარმოადგენს ბუნებრი როლს ადვოკატებისათვის, თუმცა ასეთი როლი უნდა იყოს მხოლოდ გამონაკლისი მედიაციის კონტექსტში. შესაძლოა იყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც თავს იჩენს ძალთა დისბალანსი მხარეებს შორის (მხარეთა განსახვევუბული განათლების ან სოციალური დონე). სწორედ აქ იჩენს კარგი მედიატორი თავს, რომელიც ასეთ არათანაბარ მდგომარეობას დაარეგულირებს.[15]

რამდენადაც სასამართლო პროცესი დაფუძნებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, ადვოკატები შესაძლოა მახეშიც გაებან მედიაციის პროცესში მათთვის დამახასიათებელ ქცევის წესების გამო. ეს შეიძლება გულისხმობდეს მედიაზიის, როგორც 'ცხელი ფაქტების' გამოყენებას, სხვა მხარის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის აღმოჩენის, ასევე კონფიდენციალურობის პრინციპის მკაცრად დაცვის გზით, რითაც კლიენტები მოკლებულნი არიან ისაუბრონ ღიად, ხელოვნურად გააჭიანურონ მედიაციის პროცესი მოწინააღმდე მხარის გადაღლის მიზნით და სხვა. [16]

არსებობს მოსაზრება, რომ ადვოკატთა ქცევის ერთ-ერთ უმთავრესს საფრთხეს, პროცესში მათი დომინირების სურვილი წარმოადგენს. ერთ-ერთი ავსტრალიური კვლევის თანახმად, მედიაციის საწყისი მოხსენებიდან 80% სწორედ ადვოკატების მიერ იყო მომზადებული,[17] რაც თავის თავში ეწინააღმდეგება მედიაციის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს: პროცესში მოდავე მხარის პირდაპირ მონაწილებას.[18] ამ კვლევის თანახმად, ადვოკატთა 69% ფიქრობდა, რომ მოდავე მხარის პირდაპირი მონაწილეობა პროცესში, არ წარმოადგენს მედიაციის ძირითად მახასიათებელს, 17% კი მოდავე მხარეს პირდაპირ მონაწილებას არახელსაყრელად მიიჩნევდა და

[15] Caputo Ch.-M., Lawyers' Participation in Mediation, Australian Dispute Resolution Journal, Vol. 18, 2007, 84, 90.
[16] Caputo Ch. M., Lawyers' Participation in Mediation, Australian Dispute Resolution Journal, Vol. 18, 2007, 87.
[17] იქვე
[18] Rundle O., Barking Dogs: Lawyer Attitudes towards Direct Disputant Participation in Court-connected Mediation
of General Civil Cases, 8(1) Queensland University of Technology Law and Justice Journal, Vol. 8(1), 2008, 77.

უშვებდა არგუმენტს, რომ საქმის განვითარებისა და საბოლოო შედეგისთვის ზიანის მომატანი იქნებოდა.[19]

ზემოხსენებული განხილვის საგანი ნათელს ხდის, თუ რამდენად მნიშნველოვანია კლიენტის პირდაპირი ჩართულობა შედეგისა და ამ პროცესის ეფექტურობისთვის. მოდავე მხარეს, რომელიც თვლის, რომ მისი ჩართულობა არასაკმარისი იყო პროცესის ყველა სტადიაში, შესაძლოა გაუჩნდეს შეგრძნება, რომ მედიაციის ხელშეკრულებაზე ადგილი ჰქონდა გავლენას და დარჩეს უკმაყოფილი მისი შედეგით. რამაც საბოლოო ჯამში, დასრულებული მედიაციის ხელშეკრულების დარღვევამდე შეიძლება მიგვიყანოს და პროცესი საწყის ფაზას დაუბრუნდეს. სწორედ ამიტომ, ადვოკატებმა მაქსიმუმამდე უნდა გაზარდონ მოდავე მხარის პირდაპირი ჩართულობა (Active Party Participation / Direct Disputant Participation), რაც შესაძლოა კონვენციონალური გაგებით არ ახასიათებდეს ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობას, თუმცა მედიაციის პროცესის წარმატებისა და ეფექტურობისთვის, ურთიერთობის ამ კომპონენტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

2.1 ადვოკატის მონაწილეობის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები

ადვოკატთა უმთავრესი როლი მედიაციის პროცესში მოდავე მხარეთათვის რეკომენდაციული, რჩევა-დარიგების მიცემით განისაზღვრება და ფასდება იმით, თუ რამდენად ინფორმირებულია მხარე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.[20] ადვოკატებს შესწევთ უნარი აუხსნან კლიენტს პროცესის არსი და მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები; შესაბამისად განაწყონ და

[19] იქვე 71, 81

[20] *ცერცვაძე გ.,* მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქაართველოში. ივ. ჯავახიშვილის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბ 2013,236 <http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>[05.07.2013].

მოამზადონ კლიენტები კოოპერაციული, თანამშრომლობითი მოლაპარაკებისთვის.[21]

მოაზრება, რომ მედიაციის პროცესში ადვოკატთა მონაწილეობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ის ფაქტი, რომ ადვოკატების სწორად წაყვანილი პროცესის მეშვეობით, მარტივად ხდება მიღწეული შეთანხმების საუკეთესო ალტერნატივის (BATNA) გამოვლენა. სამართლამცოდნე პრაქტიკოსი იურისტი, ეხმარება კლიენტს გამოხატოს შინაგანი, ქვეცნობიერი ინტერესები და პრინციპები.[22]

ადვოკატის, როგორც იურისტის და სამართალმცოდნე პროფესიონალის, ძირითადი მოვალეობების მიღმა, მნიშნველოვანი როლი ენიჭება მის მიერ გამოვლენილ ემოციურ მხარდაჭერას. მას შეუძლია დაამშვიდოს აღელვებული კლიენტი და რაციონალური დისკუსიის საფუძველზე შეუქმნას ლეგიტიმური მოლოდინები საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნახსენები დადებითი ფაქტორები გვიჩვენებს, რომ პროცესში აუცილებელია წარმომადგნლების ჩართვა. მოდავეები, ვინც არ სარგებლობენ ადვოკატის წარმომადგენლობით რისკავენ პროცესში საკუთარი პოზიციების სუსტად ჩამოყალიბებას და უარყოფითი შედეგის დადგომას.[23]

მედიაციის პროცესში ადვოკატის ჩართულობა, ზოგჯერ, უარყოფითადაც ფასდება.[24] ნეგატიური დამოკიდებულების მიზეზი კი ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებია, რომელიც გარდაუვალია და თან სდევს ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობებს ყველა სფეროში.

---

[21] Coltri L.S., Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach, Second edition, University of Maryland,University College, 2010, 79.
[22] Coltri L. S. Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach, 2nd Edition, University of Maryland,
University College, 2010, 80
[23] Folberg J., Rosenberg J., Barret R., Use of ADR in California Courts:Findings & Proposals, University of San Francisco law review, Vol. 26, 1992, 394.
[24] Clark B., Lawyers and mediation, United Kingdom, 2012, 105.

მაგალითისთვის, ზოგჯერ ადვოკატმა მედიაციის პროცესი შესაძლოა კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებისა და მისი დამუშავებისთვის გამოიყენოს.[25]

უარყოფითი კანოტაციის ერთ-ერთი მაგალითია ასევე შემთხვევა, როცა კლიენტი ადვოკატზე სრულიად დამოკიდებული ხდება, დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას და ნეიტრალურად ადევნებს თვალს პროცესის განვითარებას. ასეთ შემთხვევებში, მოლაპარაკების მხარე ხდება ადვოკატი და არა კლიენტი.[26]

მიჩნეულია, რომ ზოგჯერ პროცესში მონაწილეობა ადვოკატებმა ბოროტად გამოიყენონ და თუ გამოავლენენ არაკეთლისინდისიერებას, დავა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით დროში გაწელონ.[27] გარდა ამ ფაქტორებისა განიხილება სხვა უარყოფითი ელემენტები: ზოგიერთი იურისტი შესაძლებელია შეეცადოს კლიენტის ყურადღების გადატანას დავის გადაწყვეტის წინააღმდეგობრივ მეთოზე.[28] მას ასევე შეუძლია, მედიაცია დაპირისპირებულ მდგომარეობად აქციოს და მწვავე კონფლიქტში გადაზარდოს.[29]

ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ზოგჯერ მედიატორი ცდილობს, შეამციროსო იურისტთა მონაწილეობა მედიაციის პროცესში. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ახასიათებთ საოჯახო და მემკვიდრეობითი ტიპის სამოქალაქო დავებს.[30]

ყოველივე ზემოხსენებული მაგალითების გათვალისწინებით, ადვოკატის მონაწილეობა მედიაციაში უაღრესად მნიშნველოვან როლს თამაშობს, რამეთუ იგი წარმოქმნის ნიადაგს წარმატებული კომუნიკაციისა და მორიგებისთვის. თუმცა, არსებობს საფრთხე, რომ მედიაციის პროცესი სასამართლო დარბაზში,

[25] Coltri L. S., Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach, Second edition, University of Maryland, University College, 2010, 81

[26] იქვე, 80.

[27] ცერცვაძე გ,, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქაართველოში. ივ. ჯავახიშვილის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბ 2013,240

[28] Coltri L. S., Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach, Second edition, University of Maryland, University College, 2010, 80.

[29] იქვე, 81.

[30] Ware S. J., Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, Printed in the United States of America, 2003, 274

ადვოკატთა პაექრობას დაემსგავსოს და დაკარგოს დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალების ფუნქციას. მედიაციის პროცესის რეპუტაციისთვის, ზიანის მომატანია შემთხვევები, როცა ადვოკატები მატერიალური სარგებლის მიღების გზით, დროში აჭიანურებენ დავის გადაწყვეტას. ასევე, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, კლიენტი შესაძლოა დამოკიდებული გახდეს ადვოკატზე და მოირგოს პასიური როლი, არ შეიტანოს კონტრიბუცია პროცესის მსვლელობაში, რაც მისი ინტერესების რეალიზებას საფრთხის ქვეშ აყენებს, ვინაიდან ვერცერთი ადვოკატი სრულყოფილად ვერ გადმოსცემს საკუთარი კლიენტის რეალურ, გულისხმიერ და სიღრმისეულ ინტერესებს. დამატებით, მედიაციის პროცესი ადვოკატის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნას კონფიდენციალური ინფორმაციის მიზნით, რასაც თან სხვადასხვა მოტივაცია ერთვის. [31]

3. ადვოკატის ეთიკის საკანონმდებლო მოწესრიგება ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობით

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ადვოკატთა ქცევის წესებსა და პროფესიულ ეთიკის ნორმებს განსაზღვრავს, რომლის მიზანია დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, იზრუნოს თავის პროფესიაზე ნდობის მოპოვებისთვისა და პატივი სცეს თავის საქმიანობას.[32]
საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 1-ლი
მუხლის შესაბამისად „ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის
განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით:

[31] გურიელი ა., ადვოკატის როლი სამოქალაქოსამართლებრივი დავების
მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა –
წელიწდეული 2016“, თსუ-ის გამომცემლობა, 2017, 124-126.
[32] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი <http://www.legalaid.ge/files/1/GBA_Code.pdf.

დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.[33] ადვოკატის საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს მისი დამოუკიდებლობა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია ზემოხსენებული კოდექსით. გაეროს დადგენილი პრინციპით, ადვოკატი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და იგი მხოლოდ კანონის და პროფესიული ეთიკის პრინციპების შესაბამისად მოქმედებს.[34]

'ადვოკატთა შესახებ' საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ადვოკატის დაცვის გარანტიებს განსაზღვავს, რომელიც იცავს, როგორც კლიენტის, ასევე ადვოკატის ინტერებს. ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად კი ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები; არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები; შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-4 მუხლი კი განამტკიცებს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას. ამავე მუხლის პირველი ნაწილით, ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის შესრულებისას არის საიდუმლო და ადვოკატი ვალდებულია დაიცვას ეს ინფორმაცია მესამე პირებისგან. ასეთი ინფორმაციის გავრცელება ან ნებისმიერი ფორმით გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ კლიენტის თანხობით ან თუ ამგვარი ინფორმაციის გავრცელებია აუცილებელია კლიენტის ინტერესებისთვის. [35]

---

[33] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია", დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 15 აპრილი, 2006 თბილისი, მ. 1-ლი

[34] კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძახია ი.; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით; თბილისი, 2011, 5.

[35] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია", დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 15 აპრილი, 2006 თბილისი, მ. 4.

3.1 ადვოკატის ეთიკის საკანონმდებლო მოწესრიგების საერთაშორისო გამოცდილება

თანამედროვე ტენდენციებით, მსოფლიოში სამოქალაქო-სამართლებრივი დავების დიიდ ნაწილი მედიაციის დახმარებით წყდება, რაც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებიდან საუკეთესო ალტერნატივად მიიჩნევა.[36]
ამ პროცესის განვითარებასთან ერთად, იზრდება პროცესის მონაწილეთა ეთიკური ვალდებულებების ნუსხა. საერთაშორისო გამოცდილება თემატიკის საკანონმდებლო მოწესრიგების თვალსაზრისით არაერთგვაროვანია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესებისთვის, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ დადგენილია მოდელური წესები (Model Rules), რომელიც ადგენს მთელ რიგ ვალდებულებათა სპექტრს, რომელსაც ადვოკატი იცავს. ვალდებულებები მოიცავს კლიენტის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე ქცევას და დანაწესს, წარმართოს მოლაპარაკება იმგვარად რომ დადგეს საკუთარი კლიენტისთვის უპირატესობის მომტანი შედეგი.[37] ეს ჩანაწერი, მიემართება იმ ადვოკატებს, რომლებიც მონაწილეობენ მედიაციის პროცესში და მათ, ვინც სასამართლო დარბაზში იცავს კლიენტის ინტერესებს. მოდელური კანონის პრეამბულაში ასევე ვხვდებით პირდაპირ დათქმას, რომ ადვოკატს, გარდა წარმომადგენლობითი როლისა შეუძლია მოირგოს ნეიტრალური, მესამე პირის როლი, რომელიც არაწარმომადგენლობით ხასიათს ატარებს, რითაც იგი ეხმარება მხარეებს დავის გადაწყვეტაში. [38] ეს მოდელური წესები ადგენს

[36] Sherill, J., A. Ethics for lawyers representing clients in mediations,
[37] Sherill, J., A., Ethics For Lawyers Representing Clients in Mediations, 2.
[38] იქვე

მედიაციაში ადვოკატისა და კლიენტის უფლებამოსილების ფარგლებს და ამბობს, რომ ადვოკატო უნდა შეიზღუდოს კლიენტის გადაწყვეტილების შესაბამისად.[39]

მოდელური წესების 1.2 პარაგრაფი ადგენს წარმომადგენლობის მასშტაბებსა და საზღვრებს კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობაში და განსაზღვრავს, რომ ადვოკატი დაემორჩილება კლიენტის გადაწყვეტილებას წარმომადგენლობის მიზნებთან მიმართებთ. ადვოკატი კი ამგვარ ქმედებას კლიენტის სახელით განახორციელებს, ვინაიდან ნაგულისხმევია მისი წარმომადგენლობის უფლებამოსილება. აგრეთევე, იგი დაემორჩილება კლიენტის სურვილს მორიგდეს პროცესში. [40]

ასეთივე დანაწესს ვხვდებით, აშშ-ს ადვოკატთა ქცევის კოდექსში, რომლის მიხედვითაც ადვოკატი ვალდებულია კომპენეტურად წარმოადგინოს თავისი კლიენტი.[41]

მოდელური კანონის 4.1 პარაგრაფის მიხედვით, ადვოკატი, მაშინ როდესაც, წარმოადგენს კლიენტს, (1) მიზანმიმართულად და შეცნობით არ უნდა გაავრცელოს ცრუ ინფორმაცია ფაქტებისა თუ კანონმდებლობის შესახებ მესამე პირსთან და (2) ვალდებულია თქვას იმგვარი ინფორმაციის შესახებ, რომლის არ გამჟღავნებაც დაეხმარება კლიენტს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში, თუკი ამგვარი არ არის დაშვებული ამავე წესების 1.6 პარაგრაფით, რომელიც ინფორმაციის კონფიდენციალურობას ეხება.[42]

სასამართლოში ადვოკატი შებოჭილია მოდელური კანონის 4.1 წესით, ვინაიდან მას აქვს მესამე პირებთან ურთიერთობის ვალდებულება. ამგვარი განხილვების დროს, ადვოკატის მიერ გაჟღერებულია ინფორმაციის კონტროლს თავის თავზე

---

[39] იქვე
[40] Sherill, J., A., Ethics For Lawyers Representing Clients in Mediations, 3, იხ. R. 1.2
[41] Marcus M.D., Mediation Ethics, 4
[42]Model Rusles of Proffessional Conduct, 4.1
https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/rule_1_6_confidentiality_of_information/

სამართალწარმოების ორგანო იღებს, თუმცა მედიაციაში იქედან გამომდინარე, რომ არ არსებობს ამგვარი ფიგურანტი, ადვოკატის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის და მისი ქცევის ფარგლებია მის კეთილსინდისიერებაზეა დამყარებული. [43]

საინტერესოა განვიხილოთ სხვა ქვეყნების მაგალითებიც:

ბელგიის ეთიკის კოდექსის პრეამბულაში აკრედიტებული მედიატორებისთვის პირდაპირ მითითებულია, რომ მედიატორი არ აქვს უფლება განახორციელოს სამედიატორო საქმიანობა, უზრუნველყოფილი არ არის მისი საქმიანობის მიუკერძოებელი ხასიათი მატერიალური თუ მორალური ინტერესების გათვალისწინებით[44]
მსგავსი მიდგომა არის საფრანგეთში, სადაც პარიზის მედიაციისა და არბიტრაჟის ცენტრი სპეციალურ საზედამხედველო საბჭოს მედიატორთა ამ პრინციპებით კონტროლს;

ავსტრალიის მედიატორთა ეთიკის გაიდლაინები დამატებით აწესებს გამჭვირვალობის პრინციპს, რომელიც ავალდებულებს მედიატორს მხარეებს მიაწოდოს შეფასებისა და დასკვნისთვის საჭირო ინფორმაცია. გარდა ამისა, მედიატორს აღჭურავს შესაძლებლობით, შეწყვიტოს პროცესი მასში ჩამოთვლილი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას, ხოლო კონფიდენციალურობის ვალდებულებას განავრცობს მედიასთან კომუნიკაციის შეზღუდვით; [45]

ჩეხეთის რეგულაცია სხვა პრინციპებისგან განსხვავებით, მხოლოდ მიუკერძოებლობის პრინციპს შეიცავს, დანარჩენ დირექტივებს კი ცალკეული სამედიაციო ცენტრები საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით აწესრიგებენ;[46]

---

[43] 137 Marcus M.D., Mediation Ethics, 3.
[44] Belgian Code of Ethics for Accredited Mediators by Federal MediaΘon Commission, 2007
[45] Ethical Guidelines for Mediators in Australia by The Law Council of Aus tralia.
[46] Code of Ethics for Lawyers-Mediators by Czech Bar AssociaΘon.

4. ეთიკური ვალდებულებების გავრცელება ადვოკატზე, როგორც წარმომადგენელზე

სამედიატორო საქმიანობის პოპულარიზაციასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური ხდება მედიაციის პროცესის ეთიკური საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება და სისტემატიზაცია. მხარეთა ინტერესების სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ მხარეთა ადვოკატ წარმომადგენლებს, რომელთაც სამედიატორო მოლაპარაკებების პროცესში, უნდა უზრუნველყონ კლიენტებისთვის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი იურიდიული მომსახურების გაწევა. მნიშვნელოვანია, არსებული საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში მოხდეს მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატი წარმომადგენლის საქმიანობის სამართლებრივი შეფასება და მასზე დაკისრებული ეთიკური ვალდებულებების განსაზღვრა.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში აქტუალურია მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატი წარმომადგენლებისთვის ეთიკური ვალდებულებების ნორმატიული დარეგულირების საკითხი. არსებობს გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა რეგულირების საგნის და მეთოდიკის გარშემო საქართველოში მედიაციის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სასამართლო მედიაციის დანერგვით. უმნიშნველოვანესია, განისაზღვროს, მიიჩნევა თუ არა ადვოკატის მიერ მედიაციის პროცესში მხარის წარმომადგენლობა საადვოკატო საქმიანობად და ვრცელდება თუ არა მასზე ადვოკატის უნივერსალური ეთიკური ვალდებულებები. ნაშრომი განხილული იქნება ადვოკატის ეთიკური ვალდებულებების ნორმატიული მოწესრიგება და მოქმედების თავისებურებები საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის სისტემებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების ნორმატიულ და დოქტრინალურ განმარტებებს, მათი მედიაციის პროცესში ჩართვის იურიდიულ შესაძლებლობას.

უფრო დეტალურად განვიხილოთ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მოდელები.

4.1 ადვოკატზე ეთიკური ვალდებულებების გავრცელების ქართული მოდელი

საადვოკატო საქმიანობის ცნების და ფარგლების განსაზღვრასთან ერთად მნიშვნელოვანია დადგინდეს მედიაციის პროცესში ადვოკატ წარმომადგენელზე, ადვოკატის ზოგადი ეთიკური ვალდებულებების გავრცელების პირობა და მომენტი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, ფორმალური თვალსაზრისით, არ განსაზღვრავს მედიაციაში მონაწილე მხარის წარმომადგენელი ადვოკატებისთვის განსაკუთრებული ეთიკური ვალდებულებების ნორმატიულ მოწესრიგებას. მოქმედ ნორმატიულ აქტებში არ არის წარმოდგენილი მითითება მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატი წარმომადგენელის მიმართ ფარგლებში გენერალური ეთიკური ვალდებულებების დაკისრების შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ეთიკის კოდექსის“ მე-11 მუხლის დანაწესი – ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან.[47] საკითხის სრულყოფილი გაანალიზებისთვის მნიშვნელოვანია იურიდიულ პრაქტიკაში მიღებულ აქტებში წარმოდგენილი განმარტებების გააზრება. ზემოხსენებული განმარტების და ადვოკატ წარმომადგენელზე, მისი, როგორც ადვოკატის სტატუსის მატარებელზე, ეთიკური ვალდებულებების დაკისრების საილუსტრაციოდ გამოდგება, დისციპლინურ და სასამართლო პრაქტიკაში მომხდარი ქვემორე შემთხვევა. „ეთიკის კოდექსის“ მე-11 მუხლის,

[47] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბ., 2012,
მუხლი 11, <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის და უზენაესი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადვოკატს დაეკისრება ადვოკატის ზოგადი ეთიკური ვალდებულებები ადვოკატის სტატუსის შეძენისთანავე და ეთიკური ნორმების ფარგლები არ შემოიფარგლება კონკრეტულ საქმეზე საადვოკატო საქმიანობის მიმდინარეობით. ამ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ (2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება[48]), რასაც დაეთანხმა საკასაციო სასამართლოს დისციპლინური პალატა: სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, სხდომის დარბაზში ადვოკატსა და მომჩივანს შორის სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო კონფლიქტი, რომელიც დასრულდა მცირე ფიზიკური შეხებით, კერძოდ, მომჩივნის მიერ ხელთ არსებული ჩანაწერის ქნევით, ხოლო ადვოკატის მხრიდან სიტყვიერ შელაპარაკებასთან ერთად ფეხის მოქნევით. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“. ასევე, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“[49] ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმინობას. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს უშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს

[48] სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება, 5.

ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.[50] ეთიკის კომისიის შეფასებით, ის ფაქტი, რომ იგი სამოქალაქო დავაში იყო მოპასუხე მხარე, არ ცვლის იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მან სხდომის მონაწილეებს შეურაცხყოფა მიაყენა. [51] მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განმარტავს, საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს, ანუ ისეთ ქცევის წესებს, რომლებიც უკავშირდება საადვოკატო საქმიანობას. „სადისციპლინო პალატას მიაჩნია, რომ ადვოკატის მიმართ პროფესიული მოთხოვნები არ შემოიფარგლება მხოლოდ „ადვოკატთ შესახებ’ კანონის მე-2 მუხლის ჩამონათვალით და იგი ვრცელდება ადვოკატებს შორის ურთიერთობაზე. მართალია, ადვოკატი მოცემულ სამოქალაქო დავაში გამოდიოდა მხარედ, მაგრამ პროფესიული ქცევის ნორმების დაცვა ადვოკატს მართებს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, არამედ სასამართლოში მხარედ გამოსვლის შემთხვევაშიც. საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლება სასამართლო დარბაზით. ადვოკატი 2006 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. ის გარემოება, რომ სასამართლო პროცესზე იგი გამოდიოდა არა წარმომადგენლად, არამედ მხარედ, არ ათავისუფლებდა მას პროფესიული ქცევის წესის დაცვისაგან. ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში. ასე მაგ: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს

[50] იქვე
[51] იქვე

მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები"; მე-9 მუხლის შესაბამისად, „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს, ან უცხო ქვეყნის სასამართლოს, ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს"; მე-10 მუხლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას". ამდენად, აღნიშნული ნორმები ვრცელდება სასამართლოს გარეთ ადვოკატებს შორის ურთიერთობაზეც, ხოლო ამ წესების დაცვა ადვოკატს მით უფრო მართებს სასამართლო დარბაზში, როდესაც ყველასთვის ცნობილია მისი პროფესიული სტატუსი, მისი ქმედება აღიქმება არა როგორც ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის ქმედება. ამდენად, სადისციპლინო პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის დასკვნას იმის შესახებ, რომ ადვოკატი თავისი ქცევით - მოსარჩელე მხარის ადვოკატის შეურაცხყოფით, არ გაუფრთხილდა პროფესიულ პრესტიჟს, არ გამოიჩინა მოთმინება და უგულებელყო პროფესიული ქცევის წესები. ადვოკატის ქცევა უნდა პასუხობდეს ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში, სასამართლო დარბაზში ადვოკატის ნებისმიერი მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატის პროფესიულ ღირსებას, ეთიკის სტანდარტებს, რომლის დაცვაზეც უნდა ზრუნავდეს ადვოკატი, მიუხედავად იმისა, წარმოადგენდა თუ არა ის კლიენტს, თუ თავად იყო მხარე სასამართლოში. [52] უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული განმარტება ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, რომ ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები დაკავშირებულია უშუალოდ მის სტატუსთან და არ შემოიფარგლება იმ საადვოკატო საქმიანობით, რომელსაც ადვოკატი ახორციელებს კონკრეტულ შემთხვევაში. ამავე დასაბუთებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადვოკატზე, რომელიც მედიაციის პროცესში წარმოადგენს მხარეს, ვრცელდება ეთიკის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმები და იგი ვალდებულია დაიცვას ზემოხსენებული ეთიკური ნორმები კლიენტის და მედიაციის პროცესის სხვა მონაწილეების მიმართ.

[52] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 6 მაისის №დს-შ/5-15 გადაწყვეტილება, 4-5.

4.2 ადვოკატზე ეთიკური ვალდებულებების გავრცელების ამერიკული მოდელი

როგორც ნაშრომში ვახსენე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქართული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ანალოგის სახით, წარმოდგენილია „ადვოკატის ქცევის მოდელური წესი“ („Model Rules of Professional Conduct“ – შემდგომში „მოდელური წესი“). ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ მიიღო „შეთანხმების ეთიკური გაიდლაინები“ (“The Ethical Guidelines for Settlement Negotiations“)[53] „გაიდლაინები“ წარმოადგენს სარეკომენდაციო სამართლებრივი ბუნების მქონე სამუშაო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა შორის მოლაპარაკებების ეტაპზე კერძო სამართლის ადვოკატი წარმომადგენლებისთვის ეთიკურ ნორმათა სისტემას. პრეამბულაში წარმოდგენილია მითითება, რომ დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ დავების ფარგლებში, მოლაპარაკებების მხარეთა შორის დავის სამართლიანი გადაწყვეტის წახალისება[54]. „გაიდლაინებით“ დადგენილი ნორმების გამოყენება რეკომენდებულია, როგორც სასამართლო დავის, ასევე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფარგლებში, მათ შორის მედიაციის და კერძო არბიტრაჟის პროცესებში. მნიშვნელოვანია, რომ „გაიდლაინების“ მიერ დადგენილი რეგულაციები მიემართება უშუალოდ მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატ წარმომადგენლებს, შესაბამისად მათ აკისრებს მთელ რიგ ეთიკურ ვალდებულებებს, რაც თავისი შინაარსით ამომწურავად ემთხვევა „მოდელური წესით“ დადგენილ ეთიკურ ნორმებს.

[53] The Ethical Guidelines for Settlement Negotiations, American Bar Association, Official Website, 2002, 1, <https://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011_build/dispute_resolution/settlementnegotiations.authcheckdam.pdf>,

[54] იქვე

4.3 ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის და 'მოდელური წესების' თანახმად

4.3.1 ქართული მოდელი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი ადგენს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს.[55] „ეთიკის კოდექსის" პირველი მუხლი (I თავი) განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობის ძირითად პრინციპებს – ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.[56] ეთიკის კოდექსის II თავით დადგენილია ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები, რომელიც მას ეკისრება სხვა პირებთან და ინსტიტუტებთან ურთიერთობაში. - ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, სამართლებრივი აქტები და რეგულაციები ადვოკატის პროფესიის შესახებ როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.

- კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. - ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა

[55] Model Rules of Professional Conduct, American Bar Association, 2004, <https://www.americanbar.org/groups/-professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_con
duct_table_of_contents.html>, [04.08.2019].

[56] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბ., 2012,
მუხლი პირველი, <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>.

შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან. [57] პროფესიული საიდუმლოება 1. ადვოკატი ვალდებულია: ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია. ადვოკატი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმას აგზავნის იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშგების ფორმის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. [58] კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას კანონი ადვოკატ წარმომადგენლებს ნებისმიერი სახის წარმომადგენლობისას აკისრებს, თუმცა მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის დაცვა დაკავშირებულია მხარეთა პოზიციების დაახლოვებასთან და მედიაციის წარმატებით დასრულებასთან. კონფიდენციალურობის გარანტია აძლიერებს ნდობას, როგორც მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, ასევე მედიატორებს შორის, აძლიერებს მედიატორის მიუკერძოებლობის რწმენას. [59] საერთო სასარჩელო წარმოებისას სამოქალაქო პროცესი წარიმართება საქვეყნოობის პრინციპის შესაბამისად, რაც საქმესთან შემხებლობაში არმყოფ ნებისმიერ მესამე პირს აძლევს შესაძლებლობას გაეცნოს მხარეთა პერსონალურ მონაცემებს. [60] მიუხედავად იმისა, რომ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია სხდომა დახუროს,

---

[57] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბ., 2012,
მუხლი 8, <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>.

[58] იქვე, მუხლი 7.

[59] ბერაძე ს., კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“, თსუ-ის გამომცემლობა, სპეციალური გამოცემა, 2017, 51.

[60] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის
შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 28/12/2011, მუხლი 2, ნაწილი პირველი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=19>, [04.08.2019].

აღნიშნული მაინც დაკავშირებულია გარკვეულ პროცედურებთან და მოსამართლის შინაგან რწმენასთან, [61] რაც საერთო ჯამში არ ქმნის კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიებს. სასამართლო პროცესის საპირისპიროდ სამედიატორო გარემო და არსებული პროცედურა ქმნის დაცულობის განსაკუთრებულ შეგრძნებას და ხელს უწყობს მედიაციის წარმატებით დასრულებას. [62]

ინტერესთა შეუთავსებლობა

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.
ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ. 3. დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევის, სასამართლო სხდომის მდივნის, თარჯიმნის, დამსწრის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის, საჯარო მოსამსახურის ან ნოტარიუსის სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი. [63]

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.

---

[61] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, 14/11/1997, მუხლი 9, ნაწილი 1-4, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>, [04.08.2019].

[62] ბერაძე ს., კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, ,,დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული", თსუ-ის გამომცემლობა, სპეციალური გამოცემა, 2017, 52.

[63] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბ., 2012,
მუხლი 8, <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>, [02.08.2019]

თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ადვოკატის ურთიერთობა სასამართლოსთან

ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას სამართლებრივი აქტები და რეგულაციები ადვოკატის პროფესიის შესახებ და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.[64]

კოლეგიალობის პრინციპი

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები. [65] ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას. [66] პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.

---

[64] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბ., 2012,
მუხლი 9, <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>, [02.08.2019].

[65] იქვე, მუხლი 7

[66] კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძახია ი., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბ., 2011, 11.

4.3.2 ამერიკული მოდელი

ამერიკის შეერთებულ შტატებში „მოდელური წესის“ მიღებამდე განიხილებოდა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სფეროში - არბიტრაჟის და მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატებისთვის ეთიკური ვალდებულებების დაკისრების მიზნით დამოუკიდებელი აქტის მიღება, რითაც განისაზღვრებოდა ეთიკური ვალდებულებების ჩამონათვალი და განმარტებები. [67]

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქართული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ანალოგის სახით, წარმოდგენილია „მოდელური წესი“– შემდგომში „მოდელური წესი“),[68] რომელიც ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის ადგენს ეთიკური ქცევის სტანდარტებს. „გაიდლაინები“ წარმოადგენს სარეკომენდაციო სამართლებრივი ბუნების მქონე სამუშაო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა შორის მოლაპარაკებების ეტაპზე კერძო სამართლის ადვოკატი წარმომადგენლებისთვის ეთიკურ ნორმათა სისტემას. „გაიდლაინებით“ დადგენილი ნორმების გამოყენება რეკომენდირებულია, როგორც სასამართლო დავის, ასევე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფარგლებში, მათ შორის მედიაციის და კერძო არბიტრაჟის პროცესებში. ამერიკული „გაიდლაინების“ მიხედვით დომინირებულია მოსაზრება, რომ

[67] Menkel-Meadow C., Ethics in Alternative Dispute Resolution: New Issues, No Answers from the Adversary Conception of Lawyers' Responsibilities, Georgetown University Law Center, 1997, 45-46.

[68] Model Rules of Professional Conduct, American Bar Association, 2004, <https://www.americanbar.org/-groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professio
nal_conduct_table_of_contents.html>, [02.08.2019].

მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატ წარმომადგენელს, განსხვავებით „მოდელური წესისა“ უნდა დაეკისროს ეთიკური ვალდებულები არამხოლოდ მისი კლინტის მიმართ, არამედ მედიაციის პროცესში მონაწილე თითოეული მხარის მიმართ, რაც მიმართული იქნება მედიაციის პროცესში ყოველი მხარისთვის სამართლიანი შეთანხმების მიღწევისკენ. [69] ამგვარი „გენერალური“ ეთიკური ვალდებულებების წრეში მოიაზრება ცოდნის, კომპეტენტურობის ეთიკური ვალდებულება; კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. ამასთან „გაიდლაინები“ აწესებს სპეციალურ ეთიკურ ვალდებულებებს უშუალოდ კლიენტის მიმართ ადვოკატი წარმომადგენლებისთვის. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის „მოდელური წესი“ ქართული „ეთიკის კოდექსის მსგავსად“ ადგენს კომპეტენტურობის, კონფიდენციალურობის; ინტერესთა კონფლიქტის, დამოუკიდებლობის ზოგად პრინციპებს. ასევე, განსაზღვრავს „მესამე პირების“ მიმართ არსებულ მოვალეობებს, მესამე პირებში, ისევე როგორც ქართულ კანონმდებლობაში, მოიაზრება მედიაციის პროცესის სხვა მონაწილეები. უმთავრესად წარმოდგენილი კლიენტი, ასევე, მედიატორი, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი და მედიაციის პროცესის სხვა მონაწილეები. [70]

კომპეტენტურობის ვალდებულება კომპეტენტურობის ეთიკური ვალდებულება „გაიდლაინში“ მომდინარეობს ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის „მოდელური წესიდან“ – „1.1 ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს კომპეტენტური იურიდიული მომსახურება“, მოცემული რეგულირების შინაარსში უნდა მოვიაზროთ ადვოკატი წარმომადგენლის საჭირო ცოდნა, რაც მისცემს მას საშუალებას განსაზღვროს მოთხოვნის კანონიერება და აღსრულებადობა. ადვოკატს უნდა შეეძლოს ამა თუ იმ სამართლებრივი მოქმედების შედეგის წინასწარ განსაზღვრა და კლიენტის ინტერესების დასაცავად, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საუკეთესო სამართლებრივი მოქმედების განხორციელება. „გაიდლაინების“ მოწესრიგებები მიმართულია მოლაპარაკების პროცესში ყოველი პირის მიმართ, შესაბამისად სამართლებრივი

[69] Sherril J. A., Ethics for Lawyers Representing Clients in Mediations, 2012, 3.
[70] იქვე, 5.

მოქმედებები, რომელსაც განახორციელებს ადვოკატის წარმომადგენელი, უნდა იყოს მიმართული ყოველი მხარის ინტერესების მაქსიმალურად დაცვისკენ. მაგალითად საგადასახადო საკითხების მოსაგვარებლად მედიაციის ყოველი მხარისთვის ოპტიმალური გზის მონახვა. - კეთილსინდისიერების ვალდებულება. ადვოკატმა უნდა განახორციელოს სამართლებრივი მოქმედებები ღირსეულად და კეთილსინდისიერად. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის „მოდელური წესი", ფორმალური თვალსაზრისით, არ ითვაილსწინებს ადვოკატი წარმომადგენლის კეთილსინდისიერების ვალდებულების დათქმას, „გაიდლაინები" მიუთითებენ აღნიშნული ეთიკური ნორმის დაცვის აუცილებლობაზე, სამართლის ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპის და უშუალოდ „გაიდლაინების" შინაარსის შესაბამისად. ადვოკატი წარმომადგენელი მედიაციის პროცესში ვალდებულია მიისწრაფვოდეს ღირსეული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისთვის. „მოდელური წესის" 2.1 მუხლი აღიარებს ადვოკატი წარმომადგენლების მიერ სადავო საკითხების განსჯისას მორალური ფაქტორების გათვალისწინებას. [71] „გაიდლაინის" ნორმის შინაარსში ასევე უნდა ვიგულისხმოთ ადვოკატ წარმომადგენლებს შორის კოლეგიალობის ეთიკური ნორმების დაცვის აუცილებლობაც. - კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. „კლიენტის თნხმობის შემთხვევაში, ადვოკატმა წარმომადგენელმა შესაძლებელია მესამე პირების მიმართ გაამჟღავნოს ან დაფაროს დავის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი, განსაკუთრებული წესი, სასამართლო განკარგულება ან ადგილობრივი ჩვეულება არ კრძალავს ინფორმაციის გამჟღავნებას, ან ადვოკატი წარმომადგენელი არ ეთანხმება ინფორმაციის გამჟღავნებას. წარმოდგენილი ნორმის რეგულირება ეყრდნობა „მოდელური წესის" 1.6; 1.8 და 1.9 მუხლების შინაარსს, რითაც უზრუნველყოფილია ადვოკატის კონფიდენციალურობის დაცვა. წარმოდგენილი ნორმის შემადგენლობა აწესებს ადვოკატის წარმომადგენლის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების მოქმედების არეალს, რაც თავის თავში მოიცავს, ასევე, ინფორმაციის გამჟღავნების უფლებამოსილებასაც

[71] Sherrill J. A., Ethics for Lawyers Representing Clients in Mediations, 2012, 5.

გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში. გამჟღავნების უფლებამოსილება უმთავრესად დამოკიდებულია კლიენტის თანხმობაზე, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაშიც, ადვოკატის მიმართ წარმომადგენლობის გამჟღავნების უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს კანონის, განსაკუთრებული წესის, სასამართლო განკარგულების ან ადგილობრივი ჩვეულების ნორმებით. ამდენად, მოცემული მოწესრიგება აწესებს კონფიდენციალურობის და გამჟღავნების უფლების დაცვის განსხვავებულ სტანდარტებს. ქართული მოწესრიგებისგან განსხვავებით, „მოდელური წესი" უშვებს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებას და ამის პირობად განსაზღვრავს კლიენტის თანხმობას. [72] - ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა. ამერიკის იურსიტთა ასოციაციის „მოდელურ წესში" მოცემულია ინტერესთა კონფლიქტებთან დაკავშირებული როგორც ზოგადი, ასევე სპეციფიკური ნორმები. კოდექსი ასევე, არეგულირებს რამდენიმე კლიენტის კონფლიქტებს, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ყოფილი კლიენტია. ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე ბოლო შესწორება 2002 წლის თებერვალში იქნა მიღებული და იგი განსაზღვრავს ადვოკატის მოვალეობებს პოტენციური კლიენტის მიმართ.[73]

- დამოუკიდებლობის პრინციპი.

ვინაიდან კონფლიქტთა უმრავლესობა კლიენტის ინტერესებს რისკის ქვეშ აყენებს და კლიენტის დამოუკიდებლობა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღება პატივსაცემი ღირებულებებია, კლიენტი უფლებამოსილია თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტების უმრავლესობა. თუ კლიენტი მაინც გადაწყვეტს ასეთ ადვოკატთან თანამშრომლობას, ამისათვის, როგორც მინიმუმ, საჭიროა კლიენტის გააზრებული თანხმობა. კლიენტის დამოუკიდებლობის პატივისცემის ზოგადი

[72] Oberman S., Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute
Resolution, Vol 27:3, 2012, 13.
[73] ხურციძე ნ., მათიაშვილი მ., მილეტორნო ჯ., ზამბახიძე თ., ცისკაძე მ., ჯოხაძე გ., იურიდიულ პროფესიათა ეთიკური საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის
გამოცემა: სასწავლო მასალები, თბ., 2009, 66

პრინციპი არ ვრცელდება, როდესაც კონფლიქტი იმდენად მძიმეა, რომ ნებისმიერი კლიენტი კონფლიქტის თავიდან აცილებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეჭვმიტანილი ხდება. კლიენტის დამოუკიდებლობის პატივისცემის ზოგადი პრინციპი არ მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც კონფლიქტზე თანხმობის გაცხადებით საფრთხე ექმნება არა მარტო კლიენტის ინტერესს, არამედ ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემის ინტერესებს. [74] ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები მესამე პირების მიმართ. ამერიკის იურსიტთა ასოციაციის „მოდელურ წესში" მოცემულია ინტერესთა კონფლიქტებთან დაკავშირებული როგორც ზოგადი, ასევე, სპეციფიკური ნორმები.[75] „მოდელური წესი" ასევე, არეგულირებს რამდენიმე კლიენტის კონფლიქტებს, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ყოფილი კლიენტია. ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე ბოლო შესწორება 2002 წლის თებერვალში იქნა მიღებული და იგი განსაზღვრავს ადვოკატის მოვალეობებს პოტენციური კლიენტის მიმართ. [76] ამერიკელ ადვოკატებს არ ეკრძალებათ კლიენტის საქმეში ჩართულ ისეთ პირებთან ურთიერთობა, რომლებსაც წარმომადგენელი არ გააჩნიათ. თუმცა, აქაც დაწესებულია ფარგლები, რომლებიც მათ ასეთი ურთიერთობებისას უნდა დაიცვან. უპირველეს ყოვლისა, ადვოკატს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება თავი შეიკავოს პირდაპირი ან ირიბი განცხადებისაგან. ადვოკატი ვალდებულია განაცხადოს, რომ მას არ აინტერესებს საკითხი, რომელსაც მას ატყობინებენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის არმქონე პირისთვის განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება, იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას. მეტიც, თუ ადვოკატმა სავარაუდოდ, იცის, რომ წარმომადგენლობის არმქონე პირი არასწორად აღიქვამს საქმეში ადვოკატის ინტერესს, იგი ვალდებულია მკაფიო განმარტება მისცეს პირს ადვოკატის როლის

---

[74] იქვე, 77.

[75] The Ethical Guidelines for Settlement Negotiations, American Bar Associassion, 2002, 1, <https://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011_build/dispute_resolution/settlementnegotiations.a
uthcheckdam.pdf>, [02.08.2019].

[76] ხურციძე ნ., მათიაშვილი მ., მილეტორნო ჯ., ზამბახიძე თ., ცისკაძე მ., ჯოხაძე გ., იურიდიულ პროფესიათა ეთიკური საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივის
გამოცემა: სასწავლო მასალები, თბ., 2009, 77

შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამერიკელ ადვოკატებს ეკრძალებათ სამართლებრივი ხასიათის რჩევები მისცენ წარმომადგენლობის არმქონე პირებს, რომლებთანაც მათ გარდაუვლად უხდებათ კონტაქტის დამყარება. ერთადერთი გამონაკლისი გახლავთ რჩევა წარმომადგენლის (ადვოკატის) აყვანის თაობაზე. ადვოკატებს უფლება აქვთ წარმომადგენლობის არმქონე პირებისაგან შეკრიბონ ინფორმაცია. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იქნებოდა ამერიკული მართლმსაჯულების სისტემის მუშაობა. [77]ამერიკული სამართლის დოქტრინაში, ასევე, გამოყოფენ მედიაციის პროცესში ადვოკატი წარმომადგენლების მხრიდან ეთიკური ვალდებულებების დარღვევის კერძო შემთხვევებს.

ასეთ შემთხვევებად შესაძლებელია გამოვყოთ „ბლეფი" და მოთხოვნის უფლების ღირებულების გადაჭარბება. ცხადია, მედიაციის პროცესში მხარის პოზიციის უკეთესად დასაცავად ადვოკატმა შესაძლებელია დამალოს საქმის არსებითი და მნიშვნელოვანი გარემოებები, წარმოაჩინოს მარწმუნებლის უფლების და მოთხოვნის ღირებულება გადაჭარბებულად და შესაბამისად, ეცადოს მხარის ინტერესებისთვის მაქსიმალურად სარგებლიანი შეთანხმების მიღწევას. [78]„მოდელური წესის" კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, ზემოხსენებული დარღვევები მიიჩნევა მედიაციის პროცესში ადვოკატის მიმართ დაკისრებული კეთილსინდისიერების პრინციპის უხეშ დარღვევად.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა ადვოკატის, როგორც წარმომადგენლის ძირითადი ვალდებულებები და მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია მედიაციის პროცესში მხარის წარმომადგენლობისას.

---

[77] ხურციძე ნ., მათიაშვილი მ., მილეტორნო ჯ., ზამბახიძე თ., ცისკაძე მ., ჯოხაძე გ., იურიდიულ პროფესიათა ეთიკური საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივის
გამოცემა: სასწავლო მასალები, თბ., 2009, 80

[78] 60 Roth B. J., Ethical Considerations for Advocates in Mediation, Massachusetts Lawyer's Weekly, 2005, 2.

ხსენებული ვალდებულებებია: კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა და მისი საუკეთესო ინტერესებიდან მოქმედება, კლიენტის მიზნების პატივისცემა და ამ მიზნების შესაბამისად მოქმედება, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, მედიაციის პროცესში მონაწილე პირების მიმართ გულისხმიერად, თავაზიანად, სამართლიანად და კეთილსინდისიერად მოქცევა, კლიენტთან ერთად ისეთი საშუალებების მოძიება და შერჩევა, რომლითაც მაქსიმალურად იქნება მიღწეული მხარის მიზნები და ინტერესები. გარდა განსაზღვრული პოზიტიური მახასიათებლისა, გამოიკვეთა უარყოფითი ელემენტები, რომლებიც შესაძლოა თან სდევდეს მედიაციის პროცესში ადვოკატის ჩართულობას. კლიენტსა და ადვოკატს შორის წარმოშობილმა ნდობამ შესაძლოა ბიძგი მისცეს და გამოიწვიოს ადვოკატის არაკეთილსინდისიერი ქმედებანი, მაგალითისთვის ადვოკატებმა ბოროტად გამოიყენონ დავა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით და ის დროში გაწელონ.[79] ზოგიერთი ადვოკატი შესაძლებელია შეეცადოს კლიენტის ყურადღების გადატანას დავის გადაწყვეტის წინააღმდეგობრივ მეთოზდე.[80] მას და/ან მედიაცია დაპირისპირებულ მდგომარეობად აქციოს და მწვავე კონფლიქტში გადაზარდოს.[81]

მონაწილე მხარეების ინტერესების დადგენა და გათვალისწინება პროცესის წარმატებით დამთავრების აუცილებელი წინაპირობაა. კლიენტის ინტერესის დაცვის ვალდებულება, ერთი მხრივ, ადვოკატს აკისრებს მოვალეობას, უზრუნველყოს ამ ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება და სტრატეგიის მასზე აგება, რაც ამავდროულად, მეორე მხარის მოსმენასა და მისი მოსაზრებების პატივისცემას მოითხოვს, რაც მეორე მხრივ, გულისხმობს მედიატორის

[79] ცერცვაძე გ,, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქაართველოში. ივ. ჯავახიშვილის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბ 2013,240

[80] Coltri L. S., Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach, Second edition, University of Maryland, University College, 2010, 80.

[81] იქვე, 81.

ვალდებულებას, აკონტროლოს, რამდენად რეალიზდება მედიაციის ფარგლებში მხარის ინტერესები, ხომ არ იზღუდება ის დომინანტი მხარის ან თავად ადვოკატის მიერ განხორციელებული არაკეთისინდისიერი ქმედებებით.

ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ მისი კლიენტის სურვილებსა და საჭიროებებზე ორიენტირებას, არამედ აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს და მხედველობაში იქნეს მიღებული მეორე მხარის ინტერესებიც. ადვოკატის ერთ-ერთი ფუნქციაა მედიატორის მიერ მისთვის ნებადართული ხელმძღვანელობითი ფუნქციის დახმარებით აღმოფხვრას მხარეთა შორის არსებული დაძაბულობა, რაც მეორე მხარის სურვილების გათვალისწონებით, მისი მოსმენითაა შესაძლებელი. ეს მნიშვნელოვანია ასევე იმისთვის, რომ ადვოკატმა შემდგომი მოქმედებებისთვის სტრატეგია დაისახოს და უზრუნველყოს პრობლემის ინტერესებზე ორიენტირებული გადაჭრის გზების ძიება, რაშიც ასევე თავად კლიენტიც უნდა იყოს ჩართული მეორე მხარის მოსმენით და მის მიმართ პატივისცემის გამოხატვით.

ადვოკატის მიმართ საზოგადოების წინაშე დაკისრებული მაღალი პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ასევე კანონით დადგენილი კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის ტელეოლოგიურ განმარტებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის მედიაციის პროცესში წარმომადგენლობისას, მასზე, როგორც პროფესიის წარმომადგენელზე, ვრცელდება, სათანადო ეთიკური
ქცევის სტანდარტი, რომელსაც განსაზღვრავს ეროვნული ნორმატიული აქტებით და საერთაშორისო ნორმებით დადგენილი ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები.
საქართველოში მოქმედი ნორმატიული დანაწესები, მათ შორის საადვოკატო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის ნორმების სისტემური და ტელეოლოგიური განმარტებები ავრცელებს ადვოკატებზე ერთიან ეთიკურ ვალდებულებებს

საადვოკატო საქმიანობის თითოეულ სფეროში, მათ შორის მედიაციის პროცესში მხარეთა წარმომადგენლობისას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი საკანონმდებლო ბაზა და დოქტრინალური განმარტებები განამტკიცებს მედიაციის პროცესში ადვოკატი წარმომადგენლის საქმიანობის საადვოკატო საქმიანობად მიჩნევის იდეას და შესაბამისად მათზე სრულად ვრცელდება „მოდელური წესით“ დადგენილი რეგულაციები.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მედიაციის პროცესში ადვოკატი წარმომადგენლის საქმიანობის საადვოკატო საქმიანობად მიჩნევასა და მასზე ადვოკატის ზოგადი ეთიკური ვალდებულებების დაკისრების თვალსაზრისით შეიქმნას განსაზღვრულობის მაღალი სტანდარტის მქონე ნორმატიული ბაზა. რეკომენდებულია, რომ ადვოკატთა შესახებ საქართველოს 2001 წლის კანონში დამატების სახით შეტანილ იქნეს ცვლილება, რითიც განისაზღვრება, რომ მედიაციის პროცესში ადვოკატის მიერ მხარის წარმომადგენლობა მიიჩნევა საადვოკატო საქმიანობად. რადგან, როგორც შედარებით-სამართლებრივმა კვლევამ აჩვენა, ადვოკატის როგორც მხარის წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები უცხო ქვეყნების იურისდიქციებში მეტნაკლებად მოწესრიგებული და შემუშავებულია.

ასევე, რეკომენდირებულია, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, ერთიანი სისტემატიზირებული აქტის გამოცემით მოწესრიგდეს მედიაციის პროცესში ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები. ზემოხსენებული ცვლილებები ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი დისციპლინური წარმოების და სამართალწარმოების პრაქტიკის დანერგვას, გამორიცხავს აზრთა სხვადასხვაობას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და ხელს შეუწყობს ადვოკატის როლის განსაზღვრას მედიაციის პროცესში.

ბიბლიოგრაფია

ქართული ლიტერატურა

ცერცვაძე გ., მედიაცია, თბილისი, 2010,

ცერცვაძე გ. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქაართველოში. ივ. ჯავახიშვილის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. თბ 2013,

გურიელი ა., ადვოკატის როლი სამოქალაქოსამართლებრივი დავების
მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა –
წელიწდეული 2016“, თსუ-ის გამომცემლობა, 2017

კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძახია ი.; ადვოკატთა პროფესიული
ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით; თბილისი, 2011

ბერაძე ს., კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“, თსუ-ის გამომცემლობა, სპეციალური გამოცემა, 2017

ხურციძე ნ., მათიაშვილი მ., მილეტორნო ჯ., ზამბახიძე თ., ცისკაძე მ., ჯოხაძე გ., იურიდიულ პროფესიათა ეთიკური საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის
გამოცემა: სასწავლო მასალები, თბ., 2009

ხურციძე ნ., მათიაშვილი მ., მილეტორნო ჯ., ზამბახიძე თ., ცისკაძე მ., ჯოხაძე გ., იურიდიულ პროფესიათა ეთიკური საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივის
გამოცემა: სასწავლო მასალები, თბ., 2009

უცხოური ლიტერატურა

Fisher R., William U., Getng to YES, Negotiating Agreement Without Giving In, 2nd ed., Harvard Negotiation Project, Penguin Books, New-York, 1991, Introduction, 7

James A. Wall, Jr., John B. Stark and Rhetta L. StandiferThe Journal of Conflict Resolution Vol. 45, No. 3 (Jun. 2001), pp. 375

Lodge J.A. Legislation Protecting Confidentiality in Mediation: Armor of Steel or Eggshell. Santa Clara Law Review, Vol. 41 2000-2001, 1106.

Astor H., Chinkin C., Dispute Resolution in Australia, Bucerworths, 2nd ed, 2002,

Harman J., From AlternaΘve to Primary Dispute Resolutioon: The pivotal role of Mediation in (and in avoiding) litigation, Speech delivered at National Mediation Conference, Melbourne, Australia, 2014,

Esplugues C., Marquis L., New Developments in Civil and commercial Mediation, Global Comparative Perspectives, Montreal-Valencia, 2015, 43

Corbin L., Baron P., Gutman J., UNSW Law Journal, ADR Zealots, Adjudicative Romantics and Everything Between: Lawyers in Mediations, Berlin, 2015, 499

Caputo Ch.-M., Lawyers' Participation in Mediation, Australian Dispute Resolution Journal, Vol. 18, 2007

Rundle O., Barking Dogs: Lawyer Attitudes towards Direct Disputant Participation in Court-connected Mediation of General Civil Cases, 8(1) Queensland University of Technology Law and Justice Journal, Vol. 8(1), 2008,

Coltri L.S., Alternative Dispute Resolution a Conflict Diagnosis Approach, Second edition, University of Maryland,University College, 2010

Folberg J., Rosenberg J., Barret R., Use of ADR in California Courts:Findings & Proposals, University of San Francisco law review, Vol. 26, 1992

Clark B., Lawyers and mediation, United Kingdom, 2012, 105.

Ware S. J., Principles of Alternative Dispute Resolution, Second edition, Printed in the United States of America, 2003, 274

Sherill, J., A. Ethics for lawyers representing clients in mediations,

Marcus M.D., Mediation Ethics, 4

Ethical Guidelines for Mediators in Australia by The Law Council of Aus tralia

Code of Ethics for Lawyers-Mediators by Czech Bar AssociaΘon.

The Ethical Guidelines for Settlement Negotiations, American Bar Association, Official Website, 2002, 1, <https://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011_build/dispute_resolution/settlementnegotiations.authcheckdam.pdf>,

Model Rules of Professional Conduct, American Bar Association, 2004, <https://www.americanbar.org/groups/-professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_con duct_table_of_contents.html>, [04.08.2019].

Menkel-Meadow C., Ethics in Alternative Dispute Resolution: New Issues, No Answers from the Adversary Conception of Lawyers' Responsibilities, Georgetown University Law Center, 1997, 45-46.

Oberman S., Confidentiality in Mediation: An Application of the Right to Privacy, Ohio State Journal on Dispute Resolution, Vol 27:3, 2012

The Ethical Guidelines for Settlement Negotiations, American Bar Associassion, 2002, 1, <https://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011_build/dispute_resolution/settlementnegotiations.a uthcheckdam.pdf>, [02.08.2019].

სამართლებრივი აქტები

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ს.ს.ი.პ. “საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია”, დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ 15 აპრილი, 2006 თბილისი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 6 მაისის №დს-შ/5-15 გადაწყვეტილება,

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 28/12/2011 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=19>,

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, 14/11/1997,